ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 157

ქ. წალენჯიხა 7 ოქტომბერი 2014 წელი

ერთის მხრივ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გოგა გულორდავას სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე "ჯანო შანავა" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ჯანო შანავას სახით, ვადგენთ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალების (CPV -31400000 აკუმულიატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები) საქონლის მიწოდებაზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" კუთვნილი (სახანძრო სამაშველო სამსახურის კუთვნილი კამაზი) ავტომანქანისთვის 1 ცალი აკუმულიატორის (190 ამპერი) მიწდების უზრუნველყოფა ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის წინასწარი გაფრთხილებიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღემდე ვადაში.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესრულებილ საქმიანობაზე მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც მითითებული უნდა იყოს მიწოდებული საქონლის რაოდენობა და ღირებულება.

6. გარანტია

6.1 აკუმულიატორის სრულფასოვანი მუშაობის საგარანტიო ვადაა 1 წელი ექსპლუატაციაში მიღების დღიდან, ამ ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს და განახორციელოს უხარისხო საქონლის შეცვლა ამისათვის მინიმალურ ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7. ანგარიშსწორება

7.1 გადახდის ფორმა უნაღდო.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს საქონლის მიწოდების შემდგომ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურებაზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების საფუძველზე.

7.3 ანგარისწორება მოხდება მხარეთა შორის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

8.ხელშეკრულების ღირებულება

8.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **360,0 (სამასსამოცი)** ლარს
8.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს ავტომობილისთვის 1 ცალი აკუმულიატორის მიწოდებას.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები
12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს/შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, -ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2% -ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრუელებელი ნაწილის 1%- ს.
12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს/შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4 იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს მიმწოდებელს/შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. ხელშეკრულების საერთო ღირებულების სრულად ამოწურვის შემთხვევაში მხარეები ითვალისწინებენ ხელშეკრულების განახლებას სადაც უნდა დაფიქსირდეს ხელშეკრულების ახალი ღირებულება.

„შემსყიდველი“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

ს/კ 242739248

ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

წალენჯიხის ფილიალი

ა/ა **GE22LB0120179460264000.**

ბ/კ **LBRTGE22**

მის: ქ. წალენჯიხა სალიას N5

ტ 599 85 77 77

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

გამგებელი

გოგა გულორდავა

„მიმწოდებელი“

ინდ. მეწარმე “ ჯანო შანავა”

ს/კ **51001022856**

ს/ს " ლიბერთი ბანკი"

წალენჯიხის ფილიალი

ანგარიშსწორების ანგარიში—

GE58LB0610001936080926

კოდი **LBRTGE22.**

მის: ქ. წალენჯიხა თამარ მეფის ქ. 10

ტელ.: 574 17 11 78

ი/მ „ ჯანო შანავა “

ხელმძღვანელი

ჯანო შანავა